ჩროლეტარებო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

№ 132 (4642)

1972 წ. 8 ივლისი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯარაში

## სსრ კავშირის ჩემპიონები მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში



ლ. ტურიშჩევა (გროზნო) ბჯენითი ხტომა, ორძელი



მ. საადი (ტაშკენტი) ძელი, თავისუფალი ვარჯიში



ვ. კლიმენკო (მოსკოვი) ტაიჭი, ბჯენითი ხტომა, ორძელი



მ. ვორონინი (მოსკოვი) რგოლები



ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი) თავისუფალი ვარჯიში, ძელძი

# დაშნა და ხასიათი

„მრავალი ღირსების რაინდებმა", როგორც თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატებს უწოდებენ, ბოლო დიდი ტურნირი მიუნხენის ოლიმპიადის წინ — სსრ კავშირის ჩემპიონატი — ფარიკაობით დაიწყეს. დილაადრიან კომკავშირის პროსპექტზე მდებარე სპორტდარბაზის შვიდ ბილიკზე ასპარეზობის მონაწილეებმა დაშნით ბრძოლა გააჩაღეს. სტარტი აიღო პირადმა ჩემპიონატმა, რომელიც საბჭოთა თანამედროვე ხუთჭიდის 25 წლისთავს ეძღვნება.

შეჯიბრების 39 მონაწილეს შორის ამ სახეობის ყველა საბჭოთა დიდოსტატს იხილავთ. ოლიმპიადაზე თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოთა ოსტატები მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულებით დამშვენებულნი გაემგზავრებიან. მათ ეს წოდება მოგებული აქვთ როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. სარბიელზე გამოდის „ოქროს გუნდის" ყველა წევრი, გარდა ლვოველი ლ. ივანოვისა, რომელიც ახლახან სერიოზულად დაშავდა. შეჯიბრება ტარდება არა მარტო ჩემპიონატის მედლებისთვის, არამედ ოლიმპიური საგზურებისთვისაც. საგზური კი სულ ოთხია.

— ჩემპიონატი ხუთჭიდის ყველაზე „მძაფრი" სახეობით — ფარიკაობით დავიწყეთ, — ამბობს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ო. ჩუვილინი. — აქ ყველაფერი დაშნის პირზეა დამოკიდებული. სპორტსმენი იბრძვის ქულებისთვის, რომელთაგან თითოეული შეიძლება გადამწყვეტი გამოდგეს. ფარიკაობა ხასიათის გამოცდაა...

ყველაზე „მტკიცე ხასიათისა" აღმოჩნდნენ 28 წლის ლვოველი სპორტსმენი პ. ლედნიოვი და ყაზახეთის წარმომადგენელი ი. ტოგობეცკი. მათ პირველებმა დაამთავრეს მოფარიკავეთა ტურნირი და დამატებით შეხვედრაში წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ — ორივეს 30-30 მოგება ჰქონდა. დარბაზის დახუთული ჰაერი კიდევ ერთი გამოცდა იყო სპორტსმენებისთვის — სახეზე ოფლი ასდიოდათ, თვალებში აშკარა დაღლილობა ჩანდა. შეუპოვარი ბრძოლის ბედი ლედნიოვის სიზუსტემ გადაწყვიტა.

ლედნიოვსა და ტოგობეცკის 1068-1068 ქულა აქვთ. III ადგილზეა ყაზახეთის წარმომადგენელი ვ. სვატენკო — 1034.

ფარიკაობაში „პირადი რეკორდი" დაამყარა 28 წლის პ. შმელიოვმა (მოსკოვის ოლქი), რომელმაც პირველად მოაგროვა „დიდოსტატური" ჯამი — 1000 ქულა (ამის მისაღწევად 28 შეხვედრის მოგებაა საჭირო). მსოფლიო ჩემპიონ ბ. ონიშჩენკოს (კიევი) 898 ქულა აქვს.

წინაა შეჯიბრებები ცხენოსნობაში, სროლაში, ცურვაში, მძლეოსნურ კროსში.

**ბ. ბუხოვცევი.** (საქდენის კორ.).

მოსკოვი, 6 ივლისი.

[illegible]

# თეთრებით იწყებს მსოფლიო ჩემპიონი

რეიკიავიკი, 7 ივლისი (საქდენის სპეც. კორ. ა. მრამორნოვი). ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი თეთრებით დაიწყებს რ. ფიშერთან მატჩს, რომლის პირველი პარტია სამშაბათს, 11 ივლისსაა დანიშნული.

... მაშ ასე, მსოფლიო პირველობაზე მატჩის წილისყრა შედგა. აი, რა უძღოდა მას წინ.

6 ივლისს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. გელერმა გამოაცხადა: „ვინაიდან გაკეთდა წერილობითი განცხადებები პრეტენდენტის ბოდიშითა და ფიდე-ს პრეზიდენტის პირობით, რომ ამიერიდან შეჯიბრების წესები და რეგლამენტი ურყევად იქნება დაცული, ამავე დროს, გაითვალისწინა რა ისლანდიაში მატჩის ორგანიზატორთა გაწეული ჯაფა და მთელი მსოფლიოს მილიონობით ჭადრაკის მოყვარულთა სურვილი — ნახონ ეს შეჯიბრება, მსოფლიო ჩემპიონმა გადაწყვიტა ფიშერთან თამაში".

როცა გელერის სიტყვები ინგლისურ ენაზე გადათარგმნეს, დარბაზში ტაშმა იქუხა.

მანამდე კი, დილით, რობერტ ფიშერმა მსოფლიო ჩემპიონს თავისი ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნა. პრეტენდენტი პატიებას სთხოვდა სპასკის და ასევე ითხოვდა პატიებას თავისი თანამემამულეებისა და საბჭოთა საზოგადოებრივი აზრისგან უტაქტო და შეურაცხმყოფელი საქციელისთვის, მატჩზე დაგვიანებისთვის, რაც, ფიშერის სიტყვებით, უპირველესად ყოვლისა მისი ფინანსური მოთხოვნების გამო მოხდა („მე მატჩის ორგანიზატორებთან წვრილმანმა ფინანსურმა დავამ გამიტაცა").

ჟურნალისტებს ამ წერილის შესახებ თვით ამერიკელებმა აცნობეს და, ამგვარად, საჯაროდ გაახმაურეს.

ამრიგად, წინადღით ფიდე-ს პრეზიდენტის მ. ეივეს აღიარებით, რომ მან დაარღვია წესები და ამიერიდან დაიცავს ამ წესებს, ამავე დროს, კიცხავს პრეტენდენტის საქციელს, შესრულდა საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციისა და მსოფლიო ჩემპიონის კიდევ ერთი მოთხოვნა. ამ დღეების განმავლობაში, როცა ფიშერისა და ეივეს ბრალით მატჩის ბედი ბეწვზე ეკიდა, საბჭოთა დელეგაციისა და მსოფლიო ჩემპიონის მტკიცე და პრინციპულმა პოზიციამ ისლანდიის დედაქალაქში მოწონება გამოიწვია. ყოველივე ამაზე დღევანდელი ადგილობრივი გაზეთებიც წერენ.




ახლა თვით წილისყრის ცერემონიალის შესახებ. იგი ჩატარდა გამოფენათა სასახლეში, სადაც მატჩი გაიმართება — თანამედროვე, ლამაზ შენობაში, რომელიც კარავს მოგაგონებთ. სასახლე რეიკიავიკის გარეუბანში, თვალწარმტაცი, თოვლით შეთეთრებული მთების ფონზე დგას. 6 ივლისს საღამოს, როცა მოსკოვში უკვე შუაღამე დგებოდა, თეთრი ღამეებით განათებულ რეიკიავიკში კი დღესავით ჩანდა ყველაფერი, შენობას გარს შემოერტყნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ისლანდიაში ამ დღეებში ჩამოსული მრავალრიცხოვანი ტურისტები, ჟურნალისტები...

ოდნავ შემაღლებულ სცენაზე ვხედავთ გაკაშკაშებულ საჭადრაკო დაფასა და ორ სავარძელს. ყოველივე ეს 6 ივლისს უკვე აისახა სცენის წინ უზარმაზარ ტელეეკრანზე. ეს ეკრანი ფიგურების გადაადგილების ნახვის საშუალებასაც მოგვცემს.

საბჭოთა დელეგაცია წილისყრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მოვიდა. ფიშერი აგვიანებდა, და... დარბაზი აშფოთდა. მაშინ სცენაზე გამოსულმა ისლანდიელმა დიდოსტატმა ფ. ოლაფსონმა გამოაცხადა, წილისყრას მოლაპარაკება უძღვის წინ. ეს იყო მოლაპარაკება პირველი პარტიის ჩატარების დღის თაობაზე.

აი, დადგა დიდი ხნის ნანატრი მომენტიც. სცენაზე გამოჩნდნენ ბორის სპასკი და რობერტ ფიშერი. საბჭოთა ჭადრაკის მოყვარულთათვის კარგად ცნობილმა ინგლისელმა საერთაშორისო ოსტატმა ჰ. გოლომბეკმა გამოაცხადა, რომ წილისყრა გაიმართება დღეს, ხოლო პირველი პარტია — სამშაბათს, 11 ივლისს. ფიდე-ს ხელმძღვანელობის სახელით ჩატარებული მუშაობისთვის იგი მადლობას უცხადებს მატჩის ორგანიზატორებს და შეკრებილთ წარუდგენს საბჭოთა დიდოსტატ ე. გელერს, როგორც მსოფლიო ჩემპიონის სეკუნდანტს და ამერიკელ დიდოსტატ უ. ლომბარდის, როგორც პრეტენდენტის სეკუნდანტს.

მატჩის მთავარმა არბიტრმა ლ. შმიდმა (გფრ) მსოფლიო ჩემპიონს სპასკის ორი დაბეჭდილი კონვერტი გაუწოდა ასარჩევად. სპასკიმ აიღო ერთი მათგანი, მეორე კონვერტი კი შმიდმა ფიშერს უბოძა. პირველ პარტიაში ფიგურების ფერის ამოცნობის უფლება ფიშერს ხვდა. შმიდმა სცენაზე მდგარი ლარნაკიდან ორი ფიგურა — თეთრი და შავი პაიკები აიღო და ისინი მსოფლიო ჩემპიონს გადასცა. ფიშერმა სპასკის მარჯვენა ხელზე მიუთითა, იქ კი შავი პაიკი აღმოჩნდა...

● სტოკჰოლმი, 6 ივლისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში 25 ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობენ. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია 25 წლის შვედმა ათლეტმა რიკე ბრუხმა, რომელმაც ამერიკელი ჯ. სილვესტერის მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ბადროს ტყორცნაში — 68,40 მ. ამ ტურნირში ბრუხმა, სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონს ლ. დანეკს (ჩეხოსლოვაკია) აჯობა 8,10 მეტრით. სიმაღლეზე ხტომაში საბჭოთა სპორტსმენებმა ა. ლაზარევამ და ა. ფილატოვამ შესაბამისად II (183 სმ) და III (177) ადგილები დაიკავეს. ამ სახეობაში ყველას აჯობა მსოფლიო რეკორდსმენმა ი. გუზენბაუერმა (ავსტრია), რომელსაც ისეთივე შედეგი ჰქონდა, როგორც ლაზარევას, ოღონდ სიმაღლის გადალახვას ნაკლები ცდა მოანდომა.

● ბანია-ლუკა, 6 ივლისი. „იუგოსლავიის ტურის" 5 ეტაპის შემდეგ ლიდერობას საბჭოთა ველოსიპედისტები ინარჩუნებენ. გუნდურ ჩათვლაში ისინი II ადგილზე მყოფ პოლონელებს სამ წუთზე მეტს

[illegible]

უგებენ, ხოლო იუგოსლავიის წარმომადგენლებს — თითქმის ექვს წუთს. პირად ჩათვლაში დაწინაურდა ტ. ჟუვალია (იუგოსლავია) — 11:13.14. II ადგილზეა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ი. ლავრუშკინი (11:13.24), ხოლო III — რიგელი რ. კალნენიეკსი (11:13.54). სოჭელი ა. ზახაროვი მეშვიდეა (11:15.04). V ეტაპი: ზენიცა — ბანია-ლუკა (164 კმ) ფრანგმა ჟ. ესკლასანმა მოიგო — 3:33.42. მან 10 წამით აჯობა ლავრუშკინს. IV ეტაპზე, რომელიც პატარა ქალაქ ოლოვციდან ზენიცამდე გაიოლა (74 კმ), საუკეთესო იყო ჰოლანდიელი მრბოლელი ჟ. ვან დონგენი — 1:38.42.

[illegible]

**სტოკჰოლმი, 6 ივლისი.** შვეციის დედაქალაქის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში რიგელმა იანის ლუსისმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში: პირველივე ცდაზე 93,80 მეტრზე გაგზავნა ეს იარაღი.

ი. კინუნენის (ფინეთი) უწინდელი მიღწევა 1,10 მეტრითაა გაუმჯობესებული.

**სირაკუზი** (კუნძული სიცილია), 6 ივლისი. ამ ქალაქის 50-მეტრიან აუზში 17 წლის იტალიელმა ნოველა კალიგარისმა კიდევ ერთი ევროპული რეკორდი დაამყარა: 400 მ თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 29,1 წამში გაცურა.

ძველი მიღწევა, რომელიც 2 ივლისს დაამყარა ჰოლანდიელმა ანკე რეინდერსმა, 0,7 წამითაა გაუმჯობესებული.

**პარიზი, 6 ივლისი.** საფრანგეთისა და გდრ-ის მძლეოსანთა მატჩში სტუმარი ქალთა გუნდმა (მონიკა ცეჰრტი, ჰელგა ზაიდლერი, დაგმარ კეზლინგი, ბრიგიტ როდე) მსოფლიო რეკორდი დაამყარა 4×400 მეტრზე ესტაფეტაში — 3:28,8. უწინდელი მიღწევაც (3:29,3) ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. ძველი შემადგენლობიდან ახალ სარეკორდო გარბენში მხოლოდ ცეჰრტი და ზაიდლერი მონაწილეობდნენ.

მატჩში გაიმარჯვეს გდრ-ის მძლეოსნებმა — 220,5:187,5.

ფეხბურთი

## „ინდეპენდენსიას თასზე"

ბრაზილიაში დამთავრდა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირის მატჩები ნახევარფინალურ ჯგუფებში.

6 ივლისს ბრაზილიელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს შოტლანდიის ნაკრები (ბურთი 81-ე წუთზე გაიტანა ჟაირზინიომ).

საბჭოთა ფეხბურთელები დამარცხდნენ პორტუგალიის ნაკრებთან — 0:1. ეს ერთადერთი გოლი 46-ე წუთზე გაიტანა ჟორდაომ.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ტკაჩენკო (ფორკაში), ს. კუზნეცოვი, მაღლაკელიძე, ჟურავლიოვი, ლოვჩევი, ვ. კუზნეცოვი, კუქთევი, ვასენინი, სემიონოვი, ბიშოვეცი, ონიშჩენკო (ელისეევი).

ბიშოვეცს და ონიშჩენკოს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მეტოქის კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ.

აი, ამ დღეს გამართული სხვა ნახევარფინალური მატჩების შედეგები: იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 2:1, არგენტინა — ურუგვაი 1:0.

ამრიგად, ტურნირის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 9 ივლისს რიო-დე-ჟანეიროში თასისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან თავიანთ ჯგუფებში I ადგილებზე გასული გუნდები — ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრები კოლექტივები, III ადგილისთვის კი იუგოსლავიისა და არგენტინის ფეხბურთელები ითამაშებენ.

## „სანტოსი" კანადაში

**ტორონტო, 6 ივლისი.** ბრაზილიის ცნობილმა კლუბმა „სანტოსმა" აქ გამართულ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 4:2 დაამარცხა „ტორონტო-მეტროსი".

მასპინძელთა კარში მეოთხე გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა პელემ.




## მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# ...ნურასა იქს საზრახავსა

- სპარტაკიადა ექსკურსია არაა
- დებულება ბრალს სდებს
- უკანონო შეღავათები
- კვლავ უთანაბროდ
- რეკორდები, სამი ოსტატი და სამი ოსტატობის კანდიდატი

ყველა შეჯიბრებას აქვს თავისი კანონი. ეს საბუთი, რომელსაც სპორტულ ენაზე დებულებას ვეძახით, შეჯიბრებაზე მოწვეულთ რამდენიმე თვით ადრე ეგზავნებათ სახელმძღვანელოდ. საქმეში ჩახედული კაცი ყოველ სიტყვას ათასჯერ აწონ-დაწონის და ზოგჯერ პატარა შეცდომაზეც კი ანკესზე წამოაგებს ხოლმე კანონმდებელს. არც საწინააღმდეგო ვარიანტებია გამორიცხული, თუმცა ის, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, საერთოდ იშვიათია.

ვისაც ცურვასთან რამე საერთო აქვს, კარგად იცის, რომ ყოველი მომდევნო შეჯიბრების საგზურს სპორტსმენები მანამდე ნაჩვენები შედეგებით იღებენ. ეს ცურვაში ერთიანი საკავშირო სისტემითაა დაკანონებული. ამით ბოლო მოეღო „ტურისტობანას", ამაღლდა შეჯიბრების ავტორიტეტი, რაც მთავარია, რჩეულთა ასპარეზობამ ოსტატობის დონის ამაღლებას ახალი გაქანება მისცა.

ეს წესი, ცხადია, არც მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით ქუთაისში გამართულ შეჯიბრებაში დარღვეულა. თუმცა ასპარეზობის წინ მოწყობილ თათბირზე აჭარის წარმომადგენლებმა გადაჭრით მოითხოვეს შეჯიბრებაზე დამატებით 25 მოსწავლის (?!) დაშვება. როგორც დეტექტიურ წიგნებში ხდება, ზოგჯერ დამნაშავე პირველი უხმობს დარაჯს. აჭარის ცურვის მესვეურები რესპუბლიკური სპარტაკიადის ავტორიტეტს არად დაგიდევდნენ, ოღონდ თავისი გაეტანათ, ოღონდ როგორმე გაემართლებინათ შეცდომა, რომელიც უნებლიედ არ ყოფილა დაშვებული. მაგრამ საქმე არც ისე იოლი ჩასაფარცხი გამოდგა, როგორც, ალბათ მისი წამომწყებნი ვარაუდობდნენ. ცხადია, „ტურისტები" „ტურისტებად" დარჩნენ და აჭარის გუნდის მწვრთნელებმა თვითნებობისთვის მკაცრი გაფრთხილება მიიღეს. ეს იწყინეს. „ვინც რომ ზრახვას ჰთაკილობდეს, ნურასა იქს საზრახავსო", — ამაზე ყოფილა ნათქვამი.

იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ საქმეში არ შეიძლება მხოლოდ მწვრთნელები იყვნენ დამნაშავე. სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა დებულების დარღვევით აჭარის ნაკრებ გუნდში დღემდე უცნობი სპორტსმენების შეყვანა და ამ საბაბით საგაზაფხულო სასკოლო გამოცდებიდან მათი მასობრივად გათავისუფლება? ანდა ვინ რა საბუთით გაიღო ზედმეტი სამივლინებო ხარჯები?

ეს დარღვევები უფრო ღრმად და საეჭვოდ გამოჩნდა ასპარეზობის შედეგების ფონზე. შეჯიბრებაზე ოფიციალურად მოწვეული სპორტსმენების ნაწილი სტარტზე საერთოდ არ გამოცხადდა, ნაწილმა ნათლად დაადასტურა მწვრთნელთა კიდევ ერთი სიყალბე. მაგალითად, ნ. შეიანოვამ 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 3.18,8 აჩვენა და XI ადგილზე გავიდა. ეს მაშინ, როცა საქართველოს ცურვის ფედერაციაში მწვრთნელების მიერ გაგზავნილი მისი შედეგი, რომლითაც შეიანოვამ სპარტაკიადის საგზური მიიღო, მთელი 18 წამით უკეთესი და პირველი იყო რესპუბლიკაში.

ფინალის საგზურისთვის საჭირო შედეგებისგან ძალიან შორს იყვნენ, აგრეთვე, დ. გოგუა, რ. სარვაროვა, ს. რატუშნაია, ო. მიხაილოვა და სხვ.

როგორც ხედავთ, მაგალითი ერთეული არ ყოფილა და იგი შემთხვევითობითაც არ აიხსნება. აჭარის ნაკრებიდან თავი მხოლოდ სამმა სპორტსმენმა გამოიჩინა. ა. ბუკაშკინმა (მან საქართველოს აბსოლუტური რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — 1.01,5, 200 მეტრზე კი ჭაბუკთა რესპუბლიკური მიღწევა გააუმჯობესა — 2.16,2). სპარტაკიადის მესამე პრიზიორები გახდნენ ე. ვაპიროვა და ვ. იარმოლჩუკი. ეს მაშინ, როცა წინა სპარტაკიადაში აჭარის 18 მოცურავემ დაიმსახურა მედალი.

თბილისის შემდეგ ბაზების მხრივ აჭარის მოცურავეებს ყველაზე უკეთესი პირობები აქვთ. არც ფასიანი ჯგუფები და სექციებია სხვაზე ნაკლები. მწვრთნელი გ. მოროზოვის აზრი რომ გავიზიაროთ, თურმე მოზარდები არ ეტანებიან ცურვას (!). აი, ქუთაისში კი მსურველებს ბავშვთა სექციებში რომ ველარ იტევენ, სააბონემენტო ჯგუფები გახსნეს. ეს არაა უცხო სისტემა. სააბონემენტო ჯგუფში გამოვლენილი პერსპექტიული მოზარდები სპორტულ სექციებში გადაჰყავთ. ასე დაიწყო ქუთაისელი ჭაბუკის ი. ბეროძის სპორტული ბიოგრაფიაც, რომელმაც ამ შეჯიბრებაში 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა მოიგო, პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა — 2.43,2. ქუთაისში დღეს ბევრი ნიჭიერი მოზარდია, რაც აქ მომუშავე მწვრთნელების თავდადებული გარჯის შედეგია.

სასიხარულოა აფხაზეთის მოცურავეთა წინსვლა. აუზების ნაკლებობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრები გუნდის ყველაზე საიმედო კანდიდატები სწორედ ამ რესპუბლიკიდან ვიხილეთ. ასპარეზობის ნამდვილი გმირი იყო გაგრელი მოსწავლე ლ. სუინა, რომელმაც თავისუფალი სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში საქართველოს აბსოლუტური რეკორდები დაამყარა (შესაბამისად 1.05,6 და 2.22,3), 800 მეტრზე უმცროსი ასაკის გოგონათა (10.53,4), ხოლო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალიშვილების მიღწევა გააუმჯობესა (2.41,2).

როგორც ყოველთვის, ახალი მიღწევების გარეშე არც თბილისელი სპორტსმენები დარჩნილან. ა. იორდანიშვილმა ჯერ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გადააჭარბა ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდს (5.04,2), შემდეგ კი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ერთბაშად ორი მიღწევა გააუმჯობესა: 800 მეტრზე 9.24,1 წამი აჩვენა, კილომეტრნახევრიან დისტანციაზე კი 17.25,1. ამავე მანძილზე ცურვისას ვ. მაკაროვმა 800 მ 9 წუთსა და 26,9 წამში დაფარა, ფინიშთან კი 17 წუთსა და 37,6 წამში მივიდა. ორივე შედეგი რესპუბლიკის მიღწევაა ბიჭებისთვის.

თანაგუნდელებს არც ნ. ბაშარული ჩამორჩა. მან საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (შესაბამისად 1.07,0 და 2.18,6). პირველად ამ შეჯიბრებაში ბაშარულმა და მისმა თანაქალაქელებმა გ. გოდერძიშვილმა და ვ. მაკაროვმა სპორტის ოსტატის, ვ. დოლიძემ და ლ. იმნაძემ კი ოსტატობის კანდიდატის ნორმატივები შეასრულეს.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ლ. იოაკიმიდიმ ჩვენთან საუბარში სიამოვნებით აღნიშნა მოზარდთა კარგი შედეგები. მწვრთნელს მიაჩნია, რომ ახლო მომავალში მათი სახით მოზრდილთა ნაკრებს მაღალი კლასის სპორტსმენები შეემატებიან. იოაკიმიდიმ განსაკუთრებით აღნიშნა ბრასის სტილით მოცურავე პერსპექტიული ბიჭებისა და ჭაბუკების მომრავლება.

იოაკიმიდისთან ერთად გადავხედეთ სპარტაკიადის მონაწილე ნაკრები გუნდების ქულათა რაოდენობას და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ეს სახეობა კვლავ ძალიან უთანაბროდ ვითარდება რესპუბლიკაში. თბილისს კვლავ არ გამოუჩნდა სერიოზული მოცილე. მაგალითად, დედაქალაქელმა გოგონებმა სამჯერ მეტი ქულა დაიმსახურეს, ვიდრე აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, ჭიათურისა და რუსთავის წარმომადგენლებმა ერთად (სპარტაკიადაში მხოლოდ ეს გუნდები მონაწილეობდნენ). ჭაბუკებში ეს სხვაობა ნაკლებია, მაგრამ მაინც ერთნახევარჯერ აღემატება ერთობლივ ჯამს.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული და ამაში „განთიადის" საცურაო აუზის კოლექტივმაც (დირექტორი შ. მაღლაკელიძე) შეიტანა თავისი წვლილი.

**თ. ბაჩიჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

• • •

### ტექნიკური შედეგები

**გოგონები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** სუინა — 1.05,6, ი. მარგიშვილი — 1.06,0, ი. ბოგდანოვა (ორივე — თბილისი) — 1.11,4, **200 მ.** სუინა — 2.22,3, მარგიშვილი — 2.32,7, ნ. გეოგჩოღლიანი (თბილისი)—2.38.4, **400 მ.** სუინა — 5.14,02, მარგიშვილი — 5.21,3, გეოგჩოღლიანი — 5.25,4, **800 მ.** სუინა — 10.53,4, მარგიშვილი — 10.58,2. ლ. იმნაძე (თბილისი) — 11.05,0. **ბრასი. 100 მ.** ი. კირდიანოვა (თბილისი) — 1.21,9, ე. ვაპიროვა (აჭარა) — 1.29,1, მ. გამზინა (თბილისი) — 1.29,2, **200 მ.** კირდიანოვა — 2.52,3, გამზინა — 3.02,6, ვაპიროვა — 3.11,8. **გულაღმა ცურვა. 100 მ.** ნ. ბაჩიჩილაძე (ჭიათურა) — 1.18,6, იმნაძე — 1.18,7, ტ. ვეტერი (ჭიათურა)—1.19,4, **200 მ.** იმნაძე — 2.46,8, ე. შაგიდულოვა (თბილისი) — 2.46,9, ვეტერი — 2.47,3. **ბატერფლაი. 100 მ.** პროსკურინა — 1.14,7, რ. მიქაძე (თბილისი) — 1.21,2, ი. ბალაბანიანი (აფხაზეთი) — 1.26,4, **200 მ.** პროსკურინა — 2.41,8, მიქაძე—3.04,6, ი. ბაბიანი (თბილისი) — 3.06,8. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** სუინა — 2.41,2, იმნაძე — 2.53,2, კირდიანოვა — 2.54,3, **400 მ.** იმნაძე — 6.04,0, კირდიანოვა — 6.05,7, სუინა — 6.09,9.

**ჭაბუკები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ბუკაშკინი — 57,0, ა. ბავინი (აფხაზეთი) — 57,1, მაკაროვი — 1.02,0, **200 მ.** ბავინი — 2.03,7, იორდანიშვილი — 2.08,7, ვ. დოლიძე (თბილისი) — 2.18,4, **400 მ.** ბავინი — 4.23,7, იორდანიშვილი — 4.24,1, მაკაროვი — 4.35,4, **1500 მ.** იორდანიშვილი — 17.25,1, მაკაროვი — 17.37,6, გოდერძიშვილი — 18.21,4. **ბრასი. 100 მ.** თ. ბახუტაშვილი (თბილისი) — 1.14,2, ბეროძე — 1.15,8, ა. სეროვი (თბილისი) — 1.17,0, **200 მ.** ბეროძე — 2.43,2, ბახუტაშვილი — 2.45,4, დ. ელიზბარაშვილი (თბილისი) — 2.45,4. **გულაღმა ცურვა. 100 მ.** ბაშარული — 1.07,0, ა. ვეჩხაიზერი (თბილისი) — 1.09,1, ვ. გაბისონია (აფხაზეთი) — 1.09,6, **200 მ.** ბაშარული — 2.18,6, გაბისონია — 2.30,6, ვეჩხაიზერი — 2.30,7. **ბატერფლაი. 100 მ.** ბუკაშკინი — 1.01,5, ი. მესხიშვილი (თბილისი) — 1.09,5, იარმოლჩუკი — 1.10,0, **200 მ.** ბუკაშკინი — 2.16,2, ბაშარული — 2.26,0, ი. მესხიშვილი (თბილისი) — 2.29,7. **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** ბახუტაშვილი — 2.30,6, ბაშარული — 2.31,4, დ. გრიგორი (თბილისი) — 2.31,9, **400 მ.** იორდანიშვილი — 5.04,2, გოდერძიშვილი — 5.04,2, მაკაროვი — 5.15,3.

### გუნდური შედეგები

**გოგონები.** თბილისი — 931 ქულა, აფხაზეთი — 153, აჭარა — 120.

**ჭაბუკები.** თბილისი — 792,5, აჭარა — 260,4, აფხაზეთი — 164.

• • •

**სურათებზე:** ლ. სუინა და ი. ბეროძე.

ავტორის ფოტოები.





# მწვრთნელი კმაყოფილია

ბაიდარებითა და კანოეებით შეჯიბრება ფოთში გაიმართა. მოსწავლე სპორტსმენები ორ ასაკობრივ ჯგუფად (1954-56 და 1957-58 წლებში დაბადებულნი) დაიყვნენ. ცისფერ ბილიკებზე თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, მცხეთისა და დუშეთის კოლექტივები გამოვიდნენ.

სპარტაკიადისთვის ყველაზე უკეთ მომზადებულნი აჭარისა და მცხეთის გუნდები აღმოჩნდნენ და საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლაც სწორედ ამ კოლექტივებს შორის გაიმართა. მათი დუელი იმდენად დაძაბული იყო, რომ გამარჯვებულის ბედი მხოლოდ ბოლო მომენტში გადაწყდა: აჭარის სპორტსმენებმა 147 ქულა მოაგროვეს, მცხეთელებმა — ქულით ნაკლები. 81 ქულით III ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის ნიჩბოსნები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის უფროსი მწვრთნელი ნიჩბოსნობაში ვ. რაზმაძე ტურნირის შედეგებით კმაყოფილია. ჩვენთან საუბარში მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ გამოვლინდა ბევრი ნიჭიერი ნიჩბოსანი (მცხეთიდან: თ. თედიაშვილი, ვ. გაგოშვილი და ზ. გიგაური, აჭარიდან: ნ. ვალეშნაია, ლ. მორჩილაძე და ვ. ვედენსკი), მაგრამ ისიც თქვა, რომ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, დუშეთის გუნდებისგან მეტს ელოდა. როგორც ჩანს, ამ კოლექტივების მწვრთნელებმა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მეტოქეებზე ცუდად იმუშავეს.

ტურნირის შემდეგ შედგა საქართველოს ნაკრები, რომელშიც 18 სპორტსმენი შევიდა.. გუნდი საკავშირო სპარტაკიადაში (ტერნოპოლი) იასპარეზებს.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები ასეთია: **გოგონები. ერთადგილიანი ბაიდარა. უმცროსი ასაკი.** თ. თედიაშვილი — 2.49,3. **უფროსი ასაკი.** ნ ვალეშნაია — 2.25,9. **ორადგილიანი ბაიდარა. უმცროსი ასაკი.** თედიაშვილი — მ. მარტიშევსკაია (მცხეთა) — 2.22,2. **უფროსი ასაკი.** ვალეშნაია — ს. ვართანიანი (აჭარა) — 2.18,4. **ჭაბუკები. უმცროსი ასაკი. ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ.** პ. გლაზუნოვი (აჭარა) — 2.21,4. **უფროსი ასაკი.** ვ. გაგოშვილი — 2.07,3. **1000 მ. უმცროსი ასაკი.** ვ. სიბირკო (აჭარა) — 4.40,3. **უფროსი ასაკი.** გაგოშვილი — 4.23,4. **ორადგილიანი ბაიდარა. 1000 მ. უმცროსი ასაკი.** სიბირკო — გლაზუნოვი — 4.15,4. **უფროსი ასაკი.** გაგოშვილი — ვ. გიუტაშვილი (მცხეთა) — 3.56,0. **კანოე. 1000 მ. ერთადგილიანი. უმცროსი ასაკი.** კ. სტავრიანიდი (აჭარა) — 5.09,0. **უფროსი ასაკი.** ს. როსტიაშვილი (მცხეთა) — 4.55,0. **ორადგილიანი. უმცროსი ასაკი.** გ. ოლიბეკოვი — სტავრიანიდი — 4.37,0. **უფროსი ასაკი.** როსტიაშვილი — გიგაური — 4.18,0.

**ხ. ლამარია.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

# 9 ოსტატური შედეგით

მოსწავლეთა წლევანდელი სპარტაკიადის პროგრამით ფინალურ ეტაპზე საპრიზო ადგილებისთვის 132 ნორჩი აკრობატი იბრძოდა (წინა სპარტაკიადაში მონაწილეთა რიცხვი ორჯერ ნაკლები იყო).

შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა თბილისის ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილი დაიკავეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, III — აჭარის ნორჩმა სპორტსმენებმა.

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: აკრობატულ ხტომებში — ნინო ჩარკრუზიანი (აფხაზეთი) და ს. დელიბალტოვი (თბილისი), ძალისმიერ წყვილებში — ე. ბითაძე და ვ. რაშიდოვი (ორივე — თბილისი), შერეულ წყვილებში — ე. ბალოიანი და ნ. შეკერი (ორივე — რუსთავი), ოთხეულებში — თ. ბუზიაშვილი, დ. გოჩიტაშვილი, გ. ზაალიშვილი და თ. მღებრიშვილი (ყველა — თბილისი), ბატუტზე ხტომაში — გოგონათა შორის — ზ. კვირკველია (აფხაზეთი), ჭაბუკებში — ს. მარქარიანი (თბილისი).

მისასალმებელია, რომ სარბიელზე გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის, გორისა და ზუგდიდის კოლექტივებიც. მანამდე არც ოსეთში, არც გორში, არც ზუგდიდში აკრობატიკას ყურადღება არ ექცეოდა.

აფხაზეთის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ხტომებში. რაც შეეხება ძალისმიერ და შერეულ წყვილებს, აგრეთვე, ოთხეულებს, აქ რესპუბლიკის ნორჩი აკრობატები ჯერ კიდევ შესამჩნევად ჩამორჩებიან თანამედროვე მოთხოვნებს.

სასიხარულოა, რომ ხტომებში ცხრა აკრობატმა ოსტატის ნორმატივით დაამთავრა შეჯიბრება.

**ჯ. ენდელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ისევე, როგორც შარშან

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 6 ივლისი.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:0).

კიევი: რუდაკოვი, დოცენკო, ხოსნიხინი, მატვიენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი (მედვიდი), პუზაჩი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე (რეხვიაშვილი), მჭედლიშვილი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

საოცრად წააგავდა კიევისა და თბილისის დინამოელთა წლევანდელი შეხვედრა შარშანდელს: პირველი წრის მატჩი შარშანაც კიევში შედგა, თანაც 5 ივლისს, მეტოქეები მაშინაც ცხრილის ზედა ნახევარში იყვნენ, მაშინაც კიეველები დაწინაურდნენ და თბილისელებმა შემდეგ იხსნეს ქულა. ერთი სიტყვით, სრული ანალოგიაა.

მასპინძლებმა თავიდანვე ძლიერი, სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში. პირველივე წუთებზე ბლოხინმა რამდენიმეჯერ შეძლო მეტოქის დაცვითი რიგების დაძლევა, გოგიამ ძნელი ბურთი აიღო პუზაჩისგან, ჭელიძემ ბოლო მომენტში მიუსწრო კართან სახიფათო პოზიციაში გასულ ვერემეევს..

კიეველებმა კარგად გამოიყენეს სტუმართა თავდასხმის ინერტულობა და შეტევაში აქტიურად ჩართეს ნახევარდაცვა. ნახევარმცველები საფუძვლიანად დაეუფლნენ შუა მინდორს, აქედან იწყებდნენ კომბინაციებს და დაძაბული ჰყავდათ მოწინააღმდეგის დაცვა, რომელიც გამუდმებით ბრძოლაში იყო ჩაბმული. ამ მძიმე სიტუაციაში თბილისელებს დიდ სამსახურს უწევდა მაჩაიძე. იგი ბევრს მუშაობდა თავის ნახევარზე, არ კარგავდა ბურთს და თავისი გუნდის მცველებს დროდადრო ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა.

მაგრამ აი, მე-20 წუთზე მაჩაიძე დაშავდა და მინდორი დატოვა. ვინ იცის, როგორ წავიდოდა თბილისელთა საქმე, მათს თავდამსხმელებს სწორედ ამ მომენტში საბრძოლო თვისებები რომ არ გამოეჩინათ. რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელეს გუცაევმა და ყიფიანმა (ერთ-ერთ მომენტში მეკარესთან პირისპირ გადიოდა გუცაევი და მცველებმა უცერემონიოდ მოცელეს იგი), მინდვრის სიღრმეში დაიხია ბურთის მისაღებად ნოდიამ.

მაინც, კიეველებმა შეძლეს ანგარიშის გახსნა. 25-ე წუთზე პეტრიაშვილისა და ერთ-ერთი კიეველი თავდამსხმელის შეტაკებისას მსაჯმა წესების დარღვევა მიიჩნია და პენალტი დანიშნა. იგი ზუსტად გამოიყენა მუნტიანმა — 1:0.

გაცილებით უფრო ძლიერად და, მე ვიტყოდი, მონდომებითაც ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. შუა მინდორში ბურთისთვის ბრძოლისას სულ უფრო ხშირად იმარჯვებდნენ გავაშელი და მჭედლიშვილი, ყიფიანმა გააფართოვა სამოქმედო ზონა და მარცხენა ფლანგიდან მინდვრის სხვა პუნქტებშიც იწყო გამოჩენა. ამას მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა: 54-ე წუთზე გუცაევი გაექცა რეშკოს მარჯვენა ფლანგზე, სწრაფად გადასცა ცენტრში, ზედ კარის წინ, სადაც ტყვიასავით შეიჭრა ყიფიანი და ძლიერი, ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა კომბინაცია — 1:1.

კიეველები ბევრს ეცადნენ კვლავ აღედგინათ უპირატესობა. ორჯერ აღმოჩნდა საგოლე პოზიციაში მეტოქის საჯარიმო მოედანზე ბლოხინი, რომელმაც ჯერ ძელს მოახვედრა ბურთი, მერე კი ოდნავააცდინა კარს. შემდეგ გოგიამ შეძლო კოლოტოვის ძალიან სახიფათო გარღვევის მოგერიება.

მატჩის დასასრული ასევე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ შარშანდელი „სტატუს-კვო“ ძალაში დარჩა.

ო. ბუჩმა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## მატჩები, გოლები

6 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ცსკა — „ლოკომოტივი“ 3:2.

გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის — ცსკა-ს შეხვედრა აუტსაიდერთან უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და არმიელებმა მხოლოდ მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს. არმიელთაგან ბურთები გაიტანეს ტელინგერმა, იარცმა და კოპეიკინმა, ხოლო რკინიგზელთაგან — პისკარიოვმა და პოპკოვმა.

„დნეპრი“—„კაირათი“ 4:0.

დნეპროპეტროვსკელებმა საუცხოოდ ითამაშეს და დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე. „კაირათის“ კარში ბურთები გაიტანეს პილიპჩუკმა, შეიდერმანმა და რომანიუკმა (2).

„კარპატი“—„ნეფთჩი“ 2:0.

ბაქოელებმა ვერაფერი გააწყვეს აგრესიულად მოთამაშე მასპინძელთა წინააღმდეგ და 2 „მშრალი“ ბურთი გაუშვეს ფურავსკისა და კოზინკევიჩისგან.

„ზენიტი“—„დინამო“ (მოსკოვი) 1:0.

გოლი, რომელმაც ლენინგრადელებს მოუტანა გამარჯვება, დინამოელთა კარში გაიტანა ხრომჩენკოვმა.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 13 | 9 | 2 | 2 | 23—10 | 20 |
| „დინ.“ (თბ.) | 13 | 7 | 4 | 2 | 15—6 | 18 |
| ცსკა | 13 | 7 | 2 | 4 | 16—13 | 16 |
| „დინ.“ (კ.) | 13 | 5 | 5 | 3 | 20—16 | 15 |
| „დნეპრი“ | 13 | 4 | 6 | 3 | 15—16 | 14 |
| „ტორპედო“ | 13 | 5 | 4 | 4 | 11—14 | 14. |
| „არარატი“ | 13 | 4 | 5 | 4 | 17—10 | 13 |
| „ზენიტი“ | 14 | 4 | 5 | 5 | 17—18 | 13 |
| „სპარტაკი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 10—10 | 11 |
| „დინ.“ (მ.) | 12 | 4 | 3 | 5 | 12—13 | 11 |
| „დინ.“ (მნ.) | 12 | 3 | 5 | 4 | 9—11 | 11 |
| ასკ | 13 | 4 | 3 | 6 | 15—18 | 11 |
| „კარპატი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 12—17 | 11 |
| „კაირათი“ | 14 | 2 | 7 | 5 | 9—15 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 12 | 3 | 3 | 6 | 9—15 | 9 |
| „ლოკომოტ.“ | 13 | 2 | 4 | 7 | 10—18 | 8 |

## „სიჭაბუკის თასზე“

კასპიისკი, 6 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება „სიჭაბუკის თასზე“.

განვლილ ტურში საქართველოს ფეხბურთელთა მეტოქე იყო აზერბაიჯანის ნაკრები. დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 1:1. ჩვენი გუნდის მხრივ ბურთი გაიტანა მინაშვილმა. საუცხოოდ ითამაშა მეკარე მჭედლიძემ.

ლატვიელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ყაზახეთის ნაკრები, ხოლო სომხეთისა და თურქმენეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა სომხეთის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1.

3 ტურის შემდეგ ტურნირს ლიდერობს საქართველოს ნაკრები — 5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: აზერბაიჯანი, ლატვია (4-4 ქულა) და სომხეთი (3).

ნ. ამირეჯიბი.

*მათი არდავიწყებისა იყოს!..*

სპორტში არის სახელები, რომლებიც უკვდავი შარავანდედითაა მოსილი. ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ასეთი ადამიანები ლეგენდად დადიან და უდიდეს მოწიწებასა და კრძალვას იმსახურებენ. ერთი ასეთთაგანი გახლდათ შესანიშნავი ქართველი მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი, რომელსაც სპორტული საზოგადოებრიობა კლდის ვეფხვად იცნობდა.

დღეს ხერგიანის მშობლიურ მესტიაში სახელოვანი მთამსვლელის ძეგლი გაიხსნება. ქვემოთ მოყვანილი მოგონებაც ერთ შტრიხს შემატებს ხერგიანის დიდებულ სახელს.



# მთასავით დიდი ადამიანი

1968 წლის ივლისი იყო. გადაწყვიტე ზაფხული სვანეთში გამეტარებინა დედასთან. ქუთაისის აეროდრომზე შევხვდი ნაცნობ მთამსვლელებს, რომლებიც მესტიაში მიფრინავდნენ. გამოვკითხეთ ერთმანეთს მგზავრობის მიზეზი, მეგობრებმა შემომთავაზეს მონაწილეობა მიმეღო მათს ექსპედიციაში, რომელსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მიხეილ ხერგიანი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციის ძირითადი მიზანი უშბის სამხრეთ კედელზე ასვლა იყო. გუნდი 45 კაცისგან შედგებოდა. გამიკვირდა, ასეთი მასობრივი ასვლა მსოფლიოს არც ერთ ტექნიკურად რთულ მწვერვალს არ ახსოვს. ჩემს გაკვირვებაზე მეგობრებმა მიპასუხეს: მიშას არაფერი გაუჭირდება, ის ხომ კლდის ვეფხვიაო. ექსპედიცია საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნებოდა.

სიამოვნებით დავთანხმდი მეგობრებს. არასოდეს მენახა მიხეილ ხერგიანი, თუმცა ბევრი რამ მსმენოდა და წამეკითხა მის ვაჟკაცობაზე. ოცნებად მქონდა გადაქცეული გამეცნო ადამიანი, რომელსაც მთელი ქვეყანა პატივს სცემდა. გზადაგზა სულ მიხეილ ხერგიანზე ლაპარაკობდნენ, მის ვაჟკაცობასა და გამბედაობას მიქებდნენ.

მესტიის აეროდრომიდან მანქანით გავემგზავრეთ სოფელ ბეჩოში, სადაც მთამსვლელები იყვნენ დაბანაკებული. კარგი ადგილი შეურჩევიათ უშბის ძირში. ბანაკიდან ხელისგულივით ჩანდა უშბა. თვალისმომჭრელი სილამაზით დასცქეროდა სვანეთს.

მანქანის ძრავის ხმაურზე კარვებიდან სპორტსმენები გამოცვივდნენ. უმრავლესობას ვიცნობდი, გაეხარდათ ჩემი ჩასვლა, გულწრფელად მომიკითხეს. მე კი თვალებით მიშას ვეძებდი. ასრულდა ჩემი დიდი ხნის ოცნება: მეგობრებმა დაუძახეს მიშას და გამაცნეს. როდესაც თავისი სახელი წარმოთქვა, ვერ გავიგე, ბოდიშის მოხდით ვთხოვე გაემეორებინა.

— ჩხუმლიანი.

გამიკვირდა, მაგრამ მიშამ სიცილით მიპასუხა.

— სვანეთში ჩხუმლიანად მიცნობენ, მომწონს, როცა ამ სახელით მომმართავენ.

მართლაც, მთელი სვანეთი ჩხუმლიანს ეძახდა მიშას. ეს მისი მოფერებითი სახელი იყო. ვუყურებდი მიხეილ ხერგიანს და მისი გარეგნობა მაკვირვებდა. მე ბუმბერაზად წარმომედგინა, ახლა კი ჩემს წინ საშუალო ტანის კაცი იდგა. ოღონდ ესაა, მისი ტანი ალბათ მთლიანად კუნთებად იყო ქცეული.

ერთ თვეს დავრჩი მიხეილ ხერგიანის ბანაკში. ამბობენ, ადამიანი კარგად რომ გაიცნო, მასთან ერთად ფუთი მარილი უნდა შეჭამოო. მიხეილ ხერგიანის გაცნობას ეს არ სჭირდებოდა. ის ერთი თვე სავსებით საკმარისი გამოდგა. დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე თვითონ გაგვიძღვებოდა წინ. გვავარჯიშებდა ისე, როგორც თვითონ ვარჯიშობდა.

ერთხელ ამხანაგებს ვუთხარი: ნახეთ, მიშა რა მსუბუქად დარბის და არ იღლება-მეთქი. მიპასუხეს: ეგ რაა, შენ კლდეზე უნდა ნახოო. მართლაც არაბუნებრივი ძალა ჰქონდა მიშას.

ვარჯიშის შემდეგ საღამოობით კოცონს შემოვუსხდებოდით და გულისყურით ვუსმენდით მიშას ყოველ სიტყვას, გვიყვებოდა რომელი მწვერვალი დაუპყრია და ვისთვის რა დახმარება აღმოუჩენია. რამდენჯერ საკუთარი თავიც საფრთხეში ჩამიგდია, ოღონდაც ვინმეს დავხმარებოდითო.

ერთი ასეთი ეპიზოდის მოწმე გახლდით პირადად: ერთ საღამოს ბანაკში რადიოცნობა მოვიდა მოსკოვიდან მიხეილ ხერგიანის სახელზე. სთხოვდნენ სასწრაფოდ დახმარებოდა იაპონიის ექსპედიციის წევრებს, რომლებიც უშბის ჩრდილოეთ კედლის მისადგომებთან იყვნენ. ვახშმად ვისხედით, კარგად დაღამებული იყო. მიშას ხმა არ ამოუღია, სასწრაფოდ შეუდგა მზადებას. მარტო წასვლას აპირებდა. ბიჭების დაჟინებით ორი მუხლმაგარი მთამსვლელი ამოარჩია და გზას გაუდგნენ. მესამე დღეს ზურგით ჩამოიყვანა დაშავებული იაპონელი მთამსვლელი. დანარჩენებსაც დროულად დაეხმარნენ. თურმე ზვავი ჩამოწოლილიყო და მთამსვლელებს გაყინვა ემუქრებოდათ.

ხშირად დავყვებოდი მიშას რაიონის ცენტრში სხვადასხვა საქმის მოსაგვარებლად. ყველანი მოწიწებით ხვდებოდნენ და არც თვითონ ტოვებდა უყურადღებოდ შემხვედრს. თავაზიანად ესალმებოდა, ხელს ართმევდა, თმაჭაღარა მოხუცებს კოცნიდა, დედაბრებს შავ მანდილზე ემთხვეოდა. ყველას სურდა ესაუბრა მასთან. თვითონ ყველა ნათესავად და მეგობრად მიაჩნდა.

რომელ ოჯახშიც ვიყავი, მიხეილ ხერგიანის სადღეგრძელო ყველგან დაილია. ყველანი ულოცავდნენ გზას უშბისკენ. ხუმრობა ხომ არაა, 45 კაცი აიყვანო ერთად უშბაზე, რომლის სახელიც სვანურ ენაზე მრისხანეს ნიშნავს. ამიტომაც ყველა სვანი ლოცულობდა მიხეილ ხერგიანის ექსპედიციის მშვიდობით დაბრუნებისთვის.

დადგა უშბაზე გასვლის დღე. ალიონზე მთელი ჯგუფი გაემგზავრა. ბანაკში რამდენიმე კაცი დავრჩით. გული დამწყდა, მე რომ არ წამიყვანეს. მიშამ მითხრა:

— თანრიგი რომ გქონდეს, წელზე გამოგიბამდი და ისე აგიყვანდი უშბის წვერზე, ახლა უფლება არა მაქვს შენი წაყვანის, გაისისთვის კი აუცილებლად მოგამზადებ.

გზა დავულოცე მიშასა და მის მეგობრებს. მათი გამგზავრების მეორე დღეს ბანაკში დარჩენილებმა კოცონი დავანთეთ. წვიმდა, წყვდიად ღამეს მხოლოდ ჩვენი კოცონი ანათებდა. ვლაპარაკობდით თითოეული მთამსვლელის გმირობაზე, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტს — მიშაზე. უცბად ვხედავთ ჩვენი ნაბიჯით შემოდიან ჩვენი ექსპედიციის წევრები, თავით ფეხებამდე გალუმპულები, დაღლილ-დაქანცულნი. გამიკვირდა, ასე მალე როგორ ავიდნენ უშბაზე-მეთქი. მაშინვე მიშას მივვარდი: ცუდი ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი.

—არა, ავდარმა მოგვისწრო პლატოზე, უშბა საშინლად განრისხებული იყო. ქარბუქს კარვებიანად მივყავდით. უკან დაბრუნება ვარჩიეთ. გამოიდარებს და მერე ავალთ, ჩემს თავს არ დავეძებ, ბიჭები მეცოდებიან, ძალიან გაწვალდნენ, — მიპასუხა.

ათი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა. უშბა სულ ნისლით იყო დაფარული. მართლაც სასტიკად განრისხებული ჩანდა. როგორც იქნა, გამოიდარა. ხელახლა მოემზადა ჯგუფი უშბაზე ასასვლელად. დილის ექვს საათზე გავიდნენ ბანაკიდან. ბანაკში დარჩენილები ვერ ვისვენებდით. ორი დღე ორ საუკუნედ გვექცა. ველოდით წასულთა მშვიდობით დაბრუნებას. მთელი ბანაკი ყვავილებით მოვრთეთ. არ შევეპუეთ მდინარე დოლრის ტალღებს, გაღმა გავდიოდით და მინდვრის ყვავილებს ვაგროვებდით. ყვავილებითვე დავაწერეთ ბანაკის წინ მინდორზე: „დიდება უშბის დამპყრობლებს“, „დიდება კლდის ვეფხვს მიხეილ ხერგიანს“. ყვავილებითვე შევხვდით მიშას, პირველმა მე მივულოცე მშვიდობით დაბრუნება და თავისი დაბადების დღე. ამ დღეს მას 35 წელი შეუსრულდა.

რაიონის მთელი ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ამოვიდა შიხრაში. მათ მოხუცებულები და ბავშვებიც ამოჰყვნენ. გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მიშასა და მისი ექსპედიციის ყველა წევრს, ნამდვილ ზეიმად იქცა ის დღე. მთელი სვანეთი ზეიმობდა. გადავიღეთ სამახსოვრო სურათები. საღამოს რაიონის ხელმძღვანელობამ საგანგებო ბანკეტზე მიგვიწვია. ბანკეტს საქართველოს ყველა გამოჩენილი მთამსვლელი ესწრებოდა. ბევრი რამ კარგი ითქვა სუფრაზე მიხეილ ხერგიანის შესახებ. სუფრის ერთ-ერთმა წევრმა მას გაგარინი უწოდა:

— მიშა, შენ ჩვენთვის გაგარინი ხარ. შენი მისია შესრულებული გაქვს, აწი დროა დაანებო თავი მთაში სიარულს, შენ ბარშიც საჭირო კაცი ხარ.

როცა აქებდნენ, მიშა ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს. ამბობდა: ჩემზე რომ ლაპარაკობენ, მზად ვარ მაგიდის ქვეშ შევძვრე, პატარა ბავშვივით ვწითლდებიო.

ყველა კლდის ვეფხვს ეძახდა. ვეფხვთან დაკავშირებით უცბად ერთი ეპიზოდი გაახსენდა და ჩუმად მიამბო, ხალხის ყურადღება რომ არ მიექცია.

— ერთხელ მოსკოვში ვართ მეგობარი მთამსვლელის ოჯახში მიწვეული მე და ჩემი მეგობრები. ზარი დავრეკეთ. როცა დიასახლისმა კარი გაგვიღო, განცვიფრებული დავრჩით: საწოლს ქვემოდან ბავშვები შეშინებულნი იცქირებოდნენ. დიასახლისმა აგვიხსნა: ბავშვები გავაფრთხილე, საღამოს ჩვენთან კლდის ვეფხვები უნდა მოვიდნენ-მეთქი. მათაც მართლა ვეფხვები ეგონეთ და დაიმალნენო. მე ვაკოცე, გამოვიყვანე ბავშვები და მოვეფერე. დედას ეკითხებოდნენ, რატომ ბრჭყალები არა აქვთო.

ბევრი საინტერესო რამ მიამბო იმ საღამოს მიშამ.

ლამარა ხეცურიანი.

• • •

სურათზე: მ. ხერგიანი თავის სტიქიაში.

# სამი პირობა მატჩის დაწყებისთვის

რეიკიავიკი, 6 ივლისი. გუშინ ძალიან რთული, ამაღელვებელი, მოლაპარაკებით გადატვირთული დღე იყო ისლანდიის დედაქალაქში, სადაც განზრახულია ჩატარდეს მატჩი მსოფლიო პირველობაზე ბორის სპასკისა და რობერტ ფიშერს შორის.

საღამოს საბჭოთა დელეგაციამ პრეს-კონფერენცია მოაწყო. მსოფლიო ჩემპიონის სეკუნდანტმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ეფიმ გელერმა თქვა, რომ, სპასკის აზრით, შექმნილია ჭადრაკის ისტორიაში უპრეცედენტო მდგომარეობა: მსოფლიო ჩემპიონი თავის დროზე ჩავიდა სათამაშოდ და იძულებულია მატჩზე პრეტენდენტის გამოცხადებას უცადოს. ამასთან, ეს ფიდე-ს წესების უხეში დარღვევაც არის. „მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკის მიაჩნია, — განაგრძო გელერმა, — რომ პრეტენდენტის ჩამოუსვლელობა მატჩის გახსნის ცერემონიალზე და სამი დღით დაგვიანება შეურაცხმყოფელი საქციელია“.

დავსძენთ, რომ რ. ფიშერი არც რეიკიავიკში ჩამოსვლის შემდეგ გამოცხადდა პირადად 4 ივლისს ფიდე-ს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წილისყრაზე.

ეს ყველაფერი საკმარისი იყო საიმისოდ, რომ ბორის სპასკის ყოველგვარი მოლაპარაკება შეეწყვიტა და შინისკენ გამგზავრებულიყო. „ერთადერთი, რის გამოც ჩემპიონმა თავი შეიკავა, — აღნიშნა სეკუნდანტმა, — ის გახლავთ, რომ მსოფლიო ჩემპიონს კარგად ესმის ამ მატჩის მნიშვნელობა საჭადრაკო სამყაროსთვის და ხელოვნების მოყვარე ისლანდიისთვის“. შემდეგ გელერმა განაცხადა: „ბორის სპასკის სურს და მზადაა ითამაშოს მატჩი, მაგრამ ამისთვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია, სულ ცოტა, შემდეგი: პირველი — ფიშერმა ბოდიში უნდა მოიხადოს; მეორე — ფიდე-ს პრეზიდენტმა უნდა დაგმოს პრეტენდენტის საქციელი; მესამე — პრეზიდენტმა უნდა აღიაროს, რომ მატჩის ორი დღით გადადებით ფიდე-ს წესები დაარღვია. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ფიდე-ს წესები და შეთანხმება ამ მატჩის გამო, რაც ფიდე-ს მიერ იყო დამტკიცებული, ზუსტად შესრულდება“.

ფიდე-ს პრეზიდენტმა მაქს ეივემ, რომელიც პრეს-კონფერენციას ესწრებოდა, სიტყვა მოითხოვა. მან სახაროდ აღიარა, რომ მართლაც შეცდომები დაუშვა, რომ დაარღვია ფიდე-ს წესები და მატჩზე შეთანხმება, რომ კიცხავს პრეტენდენტის საქციელს. იქვე ეივემ ყოველივე ეს წერილობითაც აღიარა.

შესასრულებელი დარჩა პირველი პუნქტი. საბჭოთა დელეგაციასა და მსოფლიო ჩემპიონს არ დააკმაყოფილებდა ჟურნალისტთა შორის 5 ივლისს გავრცელებული ზეპირი ცნობა, თითქოს ფიშერი ნანობს მატჩზე დაგვიანებას, თითქოს მას არ სურდა ეს ყველაფერი ბორის სპასკისთან დამოკიდებულებისთვის დაეკავშირებინა და საბჭოთა საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოეწვია. გელერს მიაჩნია, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბოდიშის მოხდას პირადად პრეტენდენტის მხრივ. ეს ტექსტი ჟურნალისტებს გადასცა ამერიკელი დიდოსტატის ადვოკატმა მარშალმა, მაგრამ ფიშერის სახელით უკვე გაკეთდა ბევრი ასეთი განცხადება, რომლებზეც შემდეგ მან კატეგორიული უარი თქვა.

ჟურნალისტებისა და ეივეს გარდა, სასტუმრო „საგაში“ (საბჭოთა მოჭადრაკეები აქ ცხოვრობენ) გამართულ პრეს-კონფერენციაზე იყვნენ ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციის მესვეურები და მატჩის მთავარი არბიტრი ლ. შმიდი.

გელერს უამრავი შეკითხვა მისცეს. იგი ლაკონიურად, მოსწრებულად უპასუხებდა და საბჭოთა დელეგაციის პოზიციის სიმტკიცე დაადასტურა. აი, რამდენიმე შეკითხვა და პასუხი იმ პრეს-კონფერენციიდან.

— უნდა ჩაეთვალოს თუ არა ფიშერს წაგება პირველ პარტიაზე გამოუცხადებლობისთვის?

— წესების მიხედვით, უნდა ჩაეთვალოს.

— დაეთანხმება ამ გადაწყვეტილებას სპასკი?

— ჯერ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ დაისჯება ფიშერი, მერე კი სპასკის აზრი გავიგოთ. შეიძლება მან არც მიიღოს ასეთი ფორა.

— როგორ მოიქცევით, თუ თქვენი ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდება?

— ჯერ ეს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, მერე კი უკვე შეიძლება მატჩის საკითხს დავუბრუნდეთ. სხვაგვარად მატჩის დაწყების შემდეგაც ყოველ წუთს შესაძლოა წესების ახალი დარღვევის მოწმენი გავხდეთ. ვინ არის თავდები, რომ ასე არ მოხდება?

... ერთი რამ ნათელია: დღეს, 6 ივლისს, პირველი პარტია არ შედგება. ჯერჯერობით წინაა მხოლოდ მოლაპარაკებათა ახალი ციკლი.

საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენციის შემდეგ იმავე სასტუმრო „საგაში“ მ. ეივემ, ლ. შმიდმა და ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გ. ტორარინსონმა გააგრძელეს მოლაპარაკება საბჭოთა დიდოსტატებთან ე. გელერთან და ნ. კროგიუსთან აგრეთვე, საერთაშორისო ოსტატ ი. ნეისთან. ეს მოლაპარაკება გვიან ღამით დამთავრდა.

... დღეს ისლანდიის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა მასალები საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენციაზე. „მორგიუნბლადიტი“ და „ტიმინი“ ბეჭდავენ მ. ეივეს ფოტოსურათებს: პრეზიდენტი ხელს აწერს განცხადებას საბჭოთა დელეგაციის მოთხოვნათა პასუხად. ფოტოსურათის თავზე წარწერაა: „მე გკიცხავ ფიშერს!“.

გაზეთები აქვეყნებენ საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციის ხელმძღვანელი ე. გელერისა და ბ. სპასკის განცხადებებს. მათ მოჰყავთ მსოფლიო ჩემპიონის სიტყვები: მას შემდეგ, რაც ფიშერი პირველ პარტიაზე არ გამოცხადდა, უსათუოდ წავიდოდი რეიკიავიკიდან, მაგრამ ისლანდიისა და მატჩის ორგანიზატორების პატივისცემით დავრჩი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ლ. შმიდმა (გფრ) გამოაცხადა, რომ ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის პირველი პარტიის წილისყრა ამ საღამოს მოეწყობა. ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, როდის დაიწყება მატჩი — კვირას თუ შაბათს.

ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ფიშერმა დღეს დაგვიანებისთვის წერილობითი ფორმით მოიხადა ბოდიში მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკის წინაშე.

ამგვარად, საბჭოთა დელეგაციის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

---

კატოვიცე, 6 ივლისი. მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდი პირდაპირ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩებში 3 და 10 დეკემბერს შეხვდება ლუქსემბურგისა და ავსტრიის გუნდებს შორის შესარჩევ თამაშებში გამარჯვებულს, ხოლო ცსკა-ს ვაჟთა კოლექტივი 10 და 17 დეკემბერს ეთამაშება რუმინეთის ჩემპიონს. ცსკა-ს ფრენბურთელი ქალები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალიდან დაიწყებენ ასპარეზობას, სადაც მათი მეტოქე გფრ — უნგრეთის წყვილში გამარჯვებული იქნება. ნახევარფინალური ეტაპი 1973 წლის 14-21 იანვარს გაიმართება. ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ვაჟთა გუნდი მეოთხედფინალში 10 და 17 დეკემბერს ეთამაშება ლუქსემბურგისა და შვეიცარიის გუნდებს შორის შესარჩევ მატჩში გამარჯვებულს. ორივე ტურნირის ფინალური ეტაპი მარტის პირველ ნახევარში მოეწყობა. ყოველივე ეს ცნობილი გახდა პოლონეთის ამ ქალაქში ჩატარებული წილისყრის შემდეგ.

ვარშავა, 6 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა ტრადიციულ ტურნირში საბჭოთა ესპადრონისტებმა და რაპირისტებმა გუნდური I ადგილები დაიკავეს. ესპადრონისტთა შეჯიბრების ფინალში გ. სიდიაკმა (მინსკი), ვ. ნაზლიმოვმა (მოსკოვის ოლქი), ე. ვინოკუროვმა (ლენინგრადი), ვ. ბაჟენოვმა (ომსკი) და გ. კროვოპუსკოვმა (მოსკოვი) სძლიეს ბულგარეთისა (9:3) და კუბის (9:0) კოლექტივებს, ხოლო რაპირისტებმა ვ. სტანკოვიჩმა (ლვოვი), ა. კოტეშევმა (ნოვოსიბირსკი), ლ. რომანოვმა (მოსკოვი), ვ. დენისოვმა და პ. იგნატოვმა (ორივე — გორკი) პოლონეთის მეორე ნაკრებსა (9:6) და კუბის გუნდს (9.1) აჯობეს.

ჰელსინკი, 6 ივლისი. ფინეთის დედაქალაქის ღია ოლიმპიურ აუზში დაწყებული საერთაშორისო შეჯიბრების პირველ დღეს წარმატებით იასპარეზეს წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატებმა: ალმაათელმა ბ. ენშინმა კოშკზე პირველობა მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონს, იტალიელ კ. დიბიასის დაუთმო, ხოლო ლვოველმა ტ. შტირიოვამ სამმეტრიან ტრამპლინზე — შვეციის ამომავალ ვარსკვლავს უ. კნაპეს. აი, ტექნიკური შედეგები: კოშკი (ვაჟები). 1. დიბიასი — 473,30 ქულა, 2. ენშინი — 443,65, 3. ჯ. კანიოტო (იტალია) — 437,15, 4. ვ. კაპირულინი (ვოლგოგრადი) — 434,50, 5. დ. ამბარცუმიანი (ერევანი) — 429,85. ტრამპლინი (ქალები). 1. კნაპე — 418,95 ქულა, 2. შტირიოვა — 413,25, 3. ბ. კაროუტერსი (კანადა) — 405,95.

---

## კიდევ ერთი ახალი სახელი



მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის ბალახის კორტებზე არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის — უიმბლდონის ტურნირის ერთ-ერთი ტრადიციული თავისებურება ისიც გახლავთ, რომ ყოველ წელიწადს აქ გამართულ მწვავე შეჯიბრებებში ახალ-ახალი სახელები ჩნდება.

მაგალითად, როგორც ჩოგბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები აღნიშნავენ, წლევანდელი ტურნირის აღმოჩენაა 19 წლის ამერიკელი სპორტსმენი ჯ. კონორსი (ლოს-ანჯელესი), რომელმაც მეოთხედფინალამდე მიაღწია. ჯიმი მეოთხედფინალშიც საინტერესოდ და მრავალფეროვნად თამაშობდა, მაგრამ საბოლოოდ ფარ-ხმალი დაყარა საკვალიფიკაციო განთესვის მიხედვით უიმბლდონის ტურნირის მეორე ნომერთან, რუმინეთის ჩემპიონთან ი. ნესტასესთან.

* * *

სურათზე: ჯ. კონორსი თამაშის დროს.

„მორნინგ სტარის“ (ლონდონი) ფოტო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 71)

სსრ კავშირის პირველობა

9 ივლისი

„ლოკომოტივი“ (თბილისი)—„ზურევესტნიკი“ (ლენინგრადი)

დასაწყისი 19 ს. და 30 წ.


---

## საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების პირველ კურსზე

ინსტიტუტი ამზადებს ფიზაღზრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დღის ფაკულტეტებზე სწავლების ვადა 4 წელია, დაუსწრებელზე — 5.

მსურველებმა განცხადებები უნდა შემოიტანონ 31 ივლისამდე ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით.

### დღის განყოფილება

მიღება:

ა) უმაღლესი სპორტული ოსტატობის ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე — მძლეოსნობა, ტანვარჯიში (სპორტული, მხატვრული), აკრობატიკა, ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, სამბო, ძალოსნობა, კრივი, ტყვიის სროლა, სასტენდო სროლა, მშვილდოსნობა. აღნიშნულ ფაკულტეტზე შემსვლელს უნდა ჰქონდეს სპორტის ოსტატის კანდიდატის ან სპორტის ოსტატის წოდება, ხოლო მძლეოსნობაში, ცურვაში და სპორტთამაშებში, სულ ცოტა, პირველი თანრიგი;

ბ) პედაგოგიური ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე: მძლეოსნობა, ტანვარჯიში (სპორტული, მხატვრული), აკრობატიკა, კალათბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, ძიუდო, კლასიკური ჭიდაობა, ფარიკაობა, ველოსპორტი, სამთო-სათხილამურო სპორტი, თანამედროვე ხუთჭიდი, მთამსვლელობა. პედაგოგიურ ფაკულტეტზე შემსვლელს უნდა ჰქონდეს მეორე თანრიგი მაინც;

გ) სამასწავლებლო ფაკულტეტზე სპეციალობები განსაზღვრული არ არის. შემსვლელს უნდა ჰქონდეს მესამე თანრიგი მაინც.

### დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე განცხადებები მიიღება სპორტის ნებისმიერ სახეობაში (უპირატესობა ეძლევათ ბრიგადით მომუშავეებს). შემსვლელს უნდა ჰქონდეს მესამე თანრიგი მაინც.

ყველა განცხადებას უნდა დაერთოს:

1. დახასიათება-რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ბოლო სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, ვისაც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვს), პარტიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეობის გამგეობათა (კოლმეურნეთათვის) მიერ. სკოლადამთავრებულებს დახასიათება-რეკომენდაციას აძლევენ სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

2. საშუალო განათლების საბუთი (დედანი);

3. 3×4 სმ ზომის ოთხი ფოტოსურათი;

4. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის არჩეულ სახეობაში;

5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამოწმებული ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, რომელშიც ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული შრომადღეების დაწესებული მინიმუმის შესრულება ბოლო ორ წელიწადში;

6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი და სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა), ან მიწერის ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-20 აგვისტოს შემდეგ საგნებში:

ა) ფიზიკა (ზეპირი);

ბ) ქიმია (ზეპირი);

გ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის;

დ) რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის;

ე) სპეციალობა (სპორტის არჩეული სახეობა);

ვ) საერთო ფიზიკური მომზადება (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).

უმაღლესი სპორტული ოსტატობის ფაკულტეტზე შემსვლელები აბარებენ გამოცდას სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში.

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით და სპორტული ფორმით (დადგენილი წესის მიხედვით).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

რექტორატი.